

**შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე**

19 თებერვალი, 2016წ.

ნარმოვადგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის<sup>1</sup> თაობაზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში, არაერთი საკითხი (ზოგიერთ შემთხვევაში კი მთლიანად ზოგიერთი ქვეთავიც) ზედაპირულად არის წარმოდგენილი და ხშირ შემთხვევაში დაზუსტებასა და საფუძვლიან შესწავლას/კვლევას საჭიროებს. ასეთი ქვეთავებია მაგალითად: „სეისმური პირობები“, „გეოლოგიური საშიშროებები“ - აღნიშნული ქვეთავები რამოდენიმე წინადადებით არის წარმოდგენილი.

- ქვეთავში „სეისმური პირობები“ მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: - „სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომდებელი მშენებლობა“ (პნ 01. 01-09) 1 დანართის მიხედვით საწარმოს მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში. ქ. ჭიათურისთვის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი-A შეადგენს 21-ს“. ამასთან, გზმ ანგარიშში არაფერია ნათქვამი რამდენი ბალი იქნა მიღებული საპროექტო გადანაცვრეტად და რა გავლენას მოახდენს, განმახორციელებლის მიერ მიღებული სეისმურობა საპროექტო გადანაცვრეტაზე.
- ქვეთავში „გეოლოგიური საშიშროებები“ მოცემულია დასკვნა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია, თუმცა რა კვლევას ემყარება აღნიშნული დასკვნა მოცემული არ არის.

2. გზმ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ფაბრიკის ტერიტორიაზე შემოტანილი მანგანუმის მადნის დასაწყობება მოხდება სპეციალურად მოწყობილ ღია სანაყაროებზე“, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ამ ტიპის სანაყაროებს დიდი ზეგავლენა აქვს გარემოზე. განსაკუთრებით, თუკი გვითვალისწინებთ, რომ დასახლებული არეალიდან (საცხოვრებელი კორპუსებიდან, საბავშვო ბაღიდან და ა. შ) საწარმო, საკმაოდ ახლო მანძილზე (უახლოესი დაშორების მანძილი 120 მ-ია). აუცილებელია, შეფასდეს ზეგავლენა ღია ტიპის სანაყაროებიდან, ასევე, განხილულ იქნას დახურული ტიპის სანაყაროების ალტერნატივა და დადგინდეს იქნას შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

3. გზმ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი შლამი, სანყის ეტაპზე ღურღუმელას შლამსაცავში იქნება განთავსებული, ასევე

გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 29 27 73  
ფაქსი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org  
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

<sup>1</sup> [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=150&info\\_id=4215](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=150&info_id=4215)

აღნიშნულია, რომ „მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული აუდიტის დროს დადგინდა, ღურღუმელას შლამსაცავის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“ (გვ. 34), აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გზმ ანგარიშს, თან უნდა დაერთოს, ზემოთაღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ღურღუმელას შლამსაცავის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური აღწერა.

4. გზმ ანგარიშში სხვადასხვა ნაწილში, შლამების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ინფორმაციას ვხვდებით, კერძოდ: 3.3.3.3 ქვეთავში მოცემულია, რომ შლამსაცავის ტრანსპორტირება თვითმცლელი ავტომანქანებით და ავტოცისტერნებით მოხდება. ხოლო, 3.3.3.4 ქვეთავში ნათქვამია „შლამსადენზე (შლამსატარზე) პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში (ავარიული სიტუაციების დროს) შლამის ტრანსპორტირება იგეგმება ავტოცისტერნების საშუალებით“. ზემოთაღნიშნულის სრულიად საპირისპირო ინფორმაცია არის წარმოდგენილი 3.1.3 ქვეთავში, სადაც სრულიად გამორიცხულია შლამების გადატუმბვის მეთოდის გამოყენება. კერძოდ, დოკუმენტის ამავე ქვეთავში ნათქვამია, რომ შლამების შლამსაცავში გადატუმბვა უარყოფილ იქნა, რადგან „მანგანუმის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი შლამები დიდი რაოდენობით კვარცის ნაწლაკებს შეიცავს, რაც ძალზე სწრაფად ამიანებს მილსადენებს, ასევე ტუმბო დანადგარებს“. -- ამ ყველაფერიდან გამომდინარე, საჭიროა ნათლად იქნას წარმოდგენილი შლამების ტრანსპორტირების რომელ მეთოდს გამოიყენებს კომპანია და ამის მიხედვით შეფასდეს გარემოზე ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

5. ასევე სრულიად გაუგებარია რას ემსახურება 4.4 ქვეთავი - ნარჩენების განთავსების ალტერნატიული ვარიანტები. აქ განხილულია ნარჩენების განთავსების ორი ალტერნატივა: 1. ღურღუმელას შლამსაცავი და 2. დალახაურის შლამსაცავი. მიუხედავად იმისა, რომ დალახაურის შლამსაცავი არათუ მოწყობილი არ არის, არამედ ჯერ საპროექტო დოკუმენტაციაც კი არ არსებობს, გზმ-ში უკვე გადაჭრით არის ნათქვამი, რომ კომპანიამ გადაწყვეტილება მიიღო დალახაურის შლამსაცავის აშენების შემდეგ ნარჩენები სწორედ იქ განათავსოს. აქვე, უკვე განხილულია ჯერ არარსებული დალახაურის შლამსაცავში ნარჩენების ტრანსპორტირების ალტერნატიული ვარიანტებიც.

6. ემისიებთან დაკავშირებული საკითხი დოკუმენტში ასევე არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. ანგარიშში მოცემულია, რომ „მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ აჭარბებს მდკ-ს. მდკ გადაჭარბებას ადგილი არ ექნება 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის მიმართ“ (გვ. 85). გამომდინარე იქედან, რომ ჩრდილოეთით მდებარე უახლოესი დასახლებული საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან მხოლოდ 120 მეტრით არის დაშორებული, შეფასებულ უნდა იქნას ზემოქმედება უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

7. გზმ ანგარიში 8.1 ცხრილში, სატრანსპორტო საშუალებების მიერ, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების, ნეგატიური ზემოქმედების ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად, მოცემულია შემდეგი: „შერჩეული იქნას ოპტიმალური მარშრუტები (დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით)“; მაშინ როცა, ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში ნათქვამია, რომ „საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობებიდან გამომდინარე შემოვლითი გზების გამოყენება შესაძლებელი არ იქნება“ - გამომდინარე აქედან, აღნიშნული შემარბილებელ ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

8. არ არის მოცემული საწარმოდან მდ. ყვირილამდე დაშორება.

9. სრულიად გაუგებარია 6.2.10.4.2 ქვეთავის ზოგიერთი ნაწილი. მაგალითად:

- ქვეთავის დასაწყისში ნათქვამია, რომ „ფაბრიკის სიახლოვეში საცხოვრებელი სახლები (მინიმალური დაცილების მანძილი შეადგენს 130-140 მ-ს) და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების (სკოლა, საავადმყოფო და სხვ) არსებობას და საწარმოს ზოგიერთ ტექნოლოგიურ თავისებურებას (მანგანუმის სველი წესით გამდიდრება) მინიმუმამდე დაყავს ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზეგავლენა“ - გაუგებარია რას გულისხმობს ზემოთაღნიშნულში გზმ-ს ავტორი?
- ამავე ქვეთავში ნათქვამია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები მინიმალურია, საქმიანობის ტერიტორიიდან დასახლებული არეალის მნიშვნელოვანი მანძილით დაშორების გამო - მაშინ როცა დაშორება მხოლოდ 120-130 მეტრია.

10. გზმ ანგარიშის მე-12 თავი - „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შეფასება“ - ზოგად აღწერილობითია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა პროექტის განმახორციელებლობა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. აქ მხოლოდ რამოდენიმე წინადადებით მოცემულია, რომ კომპანიამ 2014 წლის დეკემბერში ჩაატარა საჯარო განხილვა და იმავე წელს გამოაქვეყნა ინფორმაცია გაზეთშიც. გაუგებარია, რა კავშირი აქვს 2014 წლის მოვლენებს 2016 წლის თებერვალში მიმდინარე პროცესებთან.

11. 8.1 ქვეთავში საწარმოს საქმიანობის შედეგად, ხმაურის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ იგეგმება ხმაურდამცავი ეკრანებისა და ბარიერების მოწყობა. „*ეკრანების მოწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კონსტრუქციების გამოყენებით (მაგ. ხე-ტყის მასალის ჩამოგანილი ფიცრისაგან დამზადებული ფარები). ეკრანების ხმაურდამცავი თვისებები დამოკიდებულია მასალის სახეობაზე და ფიცრის სისქეზე. ასე მაგალითად: შემოღობვა ფიჭვის ფიცრებისაგან (სისქით 30 მმ) - 12 დბა; შემოღობვა მუხის ფიცრებისაგან (სისქით 45 მმ) - 27 დბა*“. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი წყაროები, რომლებსაც ეყრდნობა აღნიშნული დასკვნები. აგრეთვე, არ არის დასაბუთებული აღნიშნული მეთოდის ეფექტურობა, მათ შორის, ხმაურის შემცირების სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით. აუცილებელია განხილულ იქნეს სხვა ტექნოლოგიური ალტერნატივებიც. გამომდინარე იქედან, რომ ტექნოლოგიები განთავსებული იქნება ღია ცის ქვეშ, აუცილებელია სათანადოდ იქნას განხილული და გატარებული ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები.

12. არასრულყოფილად არის შესწავლილი პროექტის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ანგარიშში შეფასებულია მხოლოდ უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებითა და ექსპლუატაციის პროცესში დანადგარებიდან გამომდინარე ზეგავლენა. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებიდან გამომდინარე ხმაურის ზეგავლენას მოსახლეობაზე, არასრულყოფილად არის შესწავლილი და შესაბამისად, არ მოიცავს სათანადო შემარბილებელ ღონისძიებებსაც.

13. გზმ ანგარიშში ნარჩენების ტრანსპორტირების მიერ მიყენებული ზიანის ძირითად შემარბილებელ ღონისძიებად მოცემულია შემდეგი: „*მნიშვნელოვან შემარბილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, დალახურის შლამსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება*“ (რადგანაც აღნიშნული ტერიტორია 500 მეტრით არის დაშორებული საწარმოდან) (გვ. 139). გამომდინარე იქედან, რომ დალახურის შლამსაცავის მოწყობის პროექტი ჯერ არ დამტკიცებულა, და უცნობია მოიპოვებს თუ არა კომპანია შესაბამის მშენებლობის ნებართვას, ზემოთაღნიშნულის ალტერნატიულ ვარიანტად და/ან მისი შემარბილებელ ღონისძიებად განხილვა არასწორად მიგვაჩნია.

14. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭიათურის მოსახლეობა, დღემდე ისედაც შეწუხებულია სატვირთო მანქანების გადაადგილებიდან გამომდინარე ხმაურისა და გარემოს დაბინძურების გამო (მათი გადაადგილება ხდება სრულიად ღია, დაუხურავი მანქანებით). თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, სატვირთო მანქანების გადაადგილება პროექტის განხორციელების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება (დღე-ღამის განმავლობაში დაგეგმილია დაახლოებით 550 მანქანა/რესი, შესაბამისად ნათელი ხდება, რომ აღნიშნულს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება მოსახლეობაზე, როგორც ხმაურის, ასევე ემისიებით დაბინძურების თვალსაზრისით), აუცილებელია სათანადოდ შეფასდეს სატრანსპორტო ნაკადებიდან გამომდინარე ზეგავლენა მოსახლეობაზე და შესაბამისად დაიგეგმოს შემარბილებელი ღონისძიებები.

**და ბოლოს, ანგარიშში, შემარბილებელ ღონისძიებად, მხოლოდ იმის თქმა, რომ სატვირთო მანქანების ბრეზენტით გადაფარვა მოხდება არასაკმარისა; ქ. ჭიათურაში დღეისათვის არსებული მდგომარეობა კი ამის ნათელი მაგალითია. ამიტომაც, აუცილებელია საწარმომ გამოიყენოს დახურული ტიპის სატვირთო მანქანები, რათა ტრანსპორტირების დროს ნარჩენებისა და მადნის გაბნევის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.**